„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი სოფიო გვეტაძე

«01» 07 2023 წ.

საქართველოს ჩემპიონატი 20 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის -
”კახი ჩიგოგიძის თასი”
1 - 10 აგვისტო 2023 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. ჩატარების ვადები და ადგილი:

01.08-10.08. 2023 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე, კოსტავას 29.

4. მონაწილენი:

ტურნირში დაიშვებიან 2003 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები. სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

5. სისტემა და კვალიფიკაცია:

- ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.
- დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

6. დროის კონტროლი:

ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 90 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.

7. რეგისტრაცია და საწევრო შესატანი:

7.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/mFiU2c7JYUraco1YA

ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) პირადობის (დაბადების) მოწმობის ასლი; 2) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე საწევრო შესატანის (30 ლარი) გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2023 წლის 29 ივლისი 18:00 სათი.

ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

თითოეული მონაწილის საწევრო შესატანია - 30 ლარი.

7.2. სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან სატურნირო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე (29 ივლისის 18.00 საათამდე) წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტებს.

7.3. დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში საწევრო შესატანია 60 ლარი.

7.4. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:

სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE34BG0000000129766701. ბანკის კოდი BAGAGE22

8. თაი- ბრეიქი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

9. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	საათო
ჩამოსვლის დღე	1 აგვისტო	
I ტურის კენჭისყრა	1 აგვისტო	20:00
გახსნა	2 აგვისტო	14:45
I ტური	2 აგვისტო	15:00
II ტური	3 აგვისტო	15:00
III ტური	4 აგვისტო	15:00
IVტური	5 აგვისტო	15:00
Vტური	6 აგვისტო	15:00
VI ტური	7 აგვისტო	15:00
VII ტური	8 აგვისტო	15:00
VIII ტური	9 აგვისტო	15:00
IX ტური	10 აგვისტო	15:00
დახურვა	10 აგვისტო	19:00

აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების განრიგს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

10. გამარჯვებულები:

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით.
- II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.
- ჭაბუკთა შორის I ადგილზე გასული მოჭადრაკე დაფინანსდება 2024 წლის ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე.
- გოგონათა შორის I ადგილზე გასული მოჭადრაკე დაფინანსდება 2024 წლის ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე.

11. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ღონისძიება ტარდება ფიდეს სამართლიანი თამაშის წესების და დებულებების შესაბამისად. წესების დარღვევის შემთხვევაში, საკითხი რეაგირებისთვის გადაეცემა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ეთიკისა და სამართლიანი თამაშის წესების დაცვის კომისიას;
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.

  მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი